ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

19 (9959) • 28 maisi • 2012 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

26 მაისს, ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობა გაიხსნა



საქართველოს ახალი საპარლამენტო დედაქალაქი აქვს - საკანონმდებლო ორგანოს ახალ შენობაში 26 მაისს პირველი საზეიმო სხდომა გაიმართა.

ორი წლის განმავლობაში, ნაგებობაზე 2 ათასი მშენებელი მუშაობდა. ბოლო სამუშაო კი, სიმბოლურად, საქართველოს პრეზიდენტმა შეასრულა. მან, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, შენობის ფასადზე ბოლო შუშა ჩასვა.

ამ სიმბოლური აქციით, პარლამენტის შენობა ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნა. სესიას არა მარტო დეპუტატები, არამედ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სასულიერო პირები და სხვა მიწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ. ქუთისში პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელთა ოჯახის წევრები მიიწვიეს. სხდომას დაესწრო ნოე ჟორდანიას შთამომავალიც.

პარლამენტის ახალ შენობასთან, წითელ ხალიჩაზე, პირველი თბილისის მერი გამოჩნდა. გიგი უგულავას შემდეგ, საკანონმდებლო ორგანოს ახალ შენობაში უმრავლესობის წევრები შეიდნენ.

დეპუტატებმა სასესიო დარბაზში საკუთარი ადგილები მოძებნეს და მაგიდებზე დამონტაჟებული მიკროფონებიც შეამოწმეს.

სხდომის დაწყებამდე, დეპუტატებს პარლამენტის თავმჯდომარე მიესალმა. დავით ბაქრაძემ კოლეგებს ახალ შენობაში და ახალ გარემოში მუშაობის გაგრძელება მიულოცა.

პრეზიდენტის მისვლამდე პარლამენტის თავმჯდომარემ რამდენიმე წუთით ტექნიკური შესვენება გამოაცხადა. სწორედ ამ შესვენების დროს შეუერთდნენ კოლეგებს ქრისტიან-დემოკრატები. პრეზიდენტის მისვლამდე გაიარა წითელი ხალიჩა მისმა ოჯახმაც.

ახალ შენობაში, პარლამენტის პირველი სხდომა საქართველოს ჰიმნით გაიხსნა.

პარლამენტის საზეიმო სხდომის ჩატარება განსხვავებული რეგლამენტით დაიგეგმა. სიტყვით მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი გამოვიდა. 40-წუთიანი მიმართვის შემდეგ, დეპუ-ტატებმაც და მიწვეულმა სტუმრებმაც ისევ წითელი ხალიჩა გაიარეს და აღლუმზე ავტობუსებით გაემართნენ.

***ლ

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა ღირსების ორდენებით დაჯილდოვა ავღანეთში დაჭრილი მეთაურის, ოზურგეთელი ვიცე-პოლკოვნიკ ალექსანდრე ტულუშის მშობლები თინა გოგუაძე და ზურაბ ტულუში, ხოლო გურიის ყოფილი გუბერნატორი, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილს წმინდა გიორგის ბრწყინვალების ორდენი გადასცა.

1 ივნისი – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

გაბრიელ გოგოლაძე

თემო ბაქანიძე

თაკო მახარაძე

გაბრიელ სვანიძე

ანამარია მახალდიანი

თათია სარიშვილი

ლიზი ხანთაძე

მარიამ მჭავანაძე

ანასტასია მაჩაიძე

ბესო მელიქაძე

ოზურგეთის მუზეუმში განახლებული ექსპოზიცია „ძველი ოზურგეთი“ გაიხსნა

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ოზურგეთში არაერთი ღონისძიება ჩატარდა. კულტურისა და დასვენების პარკში ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი ჩატრდა, სპორტის სასახლეში—ტურნირი ფრენბურთში, გოდერძი მახარაძის გინესის მორიგი რეკორდის დამყარება და ა.შ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულ მუზეუმში კი ამ დღისადმი მიძღვნილი განახლებული ექსპოზიცია „ძველი ოზურგეთი,“ გაიხსნა. ათეულობით ფოტოსურათი და მხატვარ ლადო მალაზონიას ნახატები ქ. ოზურგეთის XX საუკინის დასაწყისს, 30-იან, 50-იან და 60-იან წლებს ასახავს. ახალი ფოტოგამოფენა უდაოდ დაინტერესებთ ოზურგეთის ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

გოდერძი მახარაძემ მორიგი მსოფლიო რეკორდი დაამყარა

26 მაისს, ოზურგეთის სპორტის სასახლეში მრავალგზის მსოფლიო (გინესის) რეკორდსმენმა, ექსტრემალური სპორტის დიდოსტატმა გოდერძი მახარაძემ მსოფლიო საგინესო-სარეკორდო ასპარეზობა გამართა. გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის დებულებით მოქმედი მსაჯთა კოლეგიის თანდასწრებით თავზე გაჩერებული ბურთით 6300 მეტრზე გაიარა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ამერიკელ აბრამ მუსონის რეკორდი, რომელიც 4444 მეტრს შეადგენდა. მუსონმა რეკორდი 2009 წლის 9 აგვისტოს დაამყარა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

ღრუბელი, წვიმა
+18+26
28 მაისი
ორშაბათი

ღრუბელი
+16+26
29 მაისი
სამშაბათი



ღრუბელი
+17+27
30 მაისი
ოთხშაბათი

წვიმა
+16+21
31 მაისი
ხუთშაბათი

წვიმა
+16+20
1 ივნისი
პარასკევი

წვიმა
+14+22
2 ივნისი
შაბათი

მზე
+14+21
3 ივნისი
კვირა

ჩაფიქრებული გლეხი – ჩაფიქრებული საქართველო

თემურ ბაქანიძე

ბევრი რამ გარდაუვალია ადამიანის ცხოვრებაში: ახალი წელი; გარდაუვალია ზაფხული, რომელიც „გარდაუვლად“ გაზაფხულის შემდეგ დგება; გარდაუვალია ლამაზი დილა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ბნელ-ჯავრისფერ ღამეს მოსდევს; დიახ, ბევრი რამ არის გარდაუვალი... ზემოთ ხსენებულიდან, რომელიმე რომ გამქრალიყო ადამიანის ცხოვრებიდან, ან დაგვიანებით დამდგარიყო, მაგალითად ახალი წელი- სამ წელიწადში ერთხელ, ამას კიდევ შეეგუებოდა გურული გლეხის ფსიქიკაცა და აზროვნებაც, მაგრამ ის, რომ დაუდგებოდა დრო და სიმინდის ყანას არ დათესავდა, ამას ვერც კი გაიფიქრებდა- შეუსაბამო იყო მისი აზროვნებისთვის, ახალ წელს შეხვედროდა ცარიელი ნალიით...ისე იყო გლეხის ორგანიზმში შეჭრილი ყანასთან ჭიდილის სიყვარული, მისი ხელებითა და თვალებით ფერება, რომ ზემოთ ხსენებული ნალიის მოხელე-დურგლებიც კი არსებობდნენ და სხვათაშორის მრავლადაც.

„დრო და სამყარო ცვალებადი", რომ ყოფილა მართლაც, ამაზე ის დაუხნავ-დაუთესავი ფართობები მეტყველებენ, რომლებიც ძალიან მომრავლდნენ ბოლო პერიოდში და მათზე, შეგუებული მზერა არა სწორი იქნებოდა იმ ხალხისგან ვისი სიტყვაც რაღაცას წყვეტს, ვისაც ოდნავი კავშირი აქვს აქაური გლეხობის ყოფაცხოვრებასთან... ამ ფართობებს შეშინებული თვალებით უნდა ყურება, რამეთუ ერის შიშშილობაცა და „მაძღრობაც“, ნაწილობრივ მათზეა დამოკიდებული- ამ ნაკვეთებზე.

უფრო ხელმისაწვდომი რომ გამხდარიყო ჩემთვის რეალური სურათი, თუ რა ხდება გლეხის ცხოვრებაში, რა უხარია, რა წყენია, რას ფიქრობს ის იმ საქმეზე, რომელიც მასთან არის უშუალო კავშირში და შესისხორცებულია მასზე, ასეთი რამ მოვიფიქრე : ისედაც პატარა საქართველო მისი ერთი „ტორი“ მოსახლეობით, ერთ პატარა უბნად გადავაქციე და ხალხსაც ერთ „მუჭში“ მოვუყარე თავი. ეს გადაწყვეტილება იმით იყო მოსაწონი, რომ კვლევის შედეგად მიღებულ პატარა სურათს, გაადიდებ-გაშლი და თვალწინ წარმოგიდგება სურათი, თუ რა მდგომარეობაა მთლიანად საქართველო იმ სფეროში, რომელშიც გლეხი ადამიანი მოღვაწეობს და რომლის მოღვაწეობაზეც არის დამოკიდებული ერის გამოკვება იაფიანი და ხარისხიანი პროდუქციით, თუ კი ეს რა თქმა უნდა სახელმწიფოს ინტერესშია...

რადგანაც ხვნა-თესვის პერიოდია, მოდი და დავიწყოთ ხვნა-თესვით... ჩვენი დაკვირვების ადგილი არის სოფელ ნატანების ერთი პატარა, ლამაზი კუთხე, ადრე 12-ე ბრიგადად წოდებული, მათზე მიმაგრებული- „ჭახვათად“ ცნობილი საყანე ფართობებით...

სანამ უშუალოდ გლეხამდე მივიდოდეთ, მინდა თქვენი ყურადღება მივიქციო ერთ ფაქტზე : ვერ გაექცა ვერც გლეხი და ვერც მთავრობა იმ რეალობას, რომ ერთმანეთთან ვერ თანამშრომლობენ „შუამავლების“ გარეშე, რომლებზეც პირადად გლეხობა მუდამ უკმაყოფილოა. ეს შუამავლებია ადამიანები:

I - ვისაც შემოაქვს ქართულ ბაზარზე საწვავი...

II - ვისაც შემოაქვს მინერალური სასუქები...

III - ვისაც ევალება გლეხობას ტექნიკით მოემსახუროს- მექანიზატორები...

დიახ, საწვავიც, სასუქიცა და ტექნიკაც, ბაწრისებური ფორმის გახდა, რომელიც ყოველ წელს, მეტი მონდომებითა და დაუნდობლობით ყულფივით უჭერს გლეხობას კისერში და აღრჩობს...

გლეხობასთან საუბრის შემდეგ, უფრო ნათელი გახდა მათი სატკივარიცა და გაიშვიათებული სიხარულიც...

ერთი რამ ნამდვილად ღიმილის მომგვრელია, თუ არა სასაცილო...

რა? ახლავე გიპასუხებთ, თუ რა პასუხს ცემენ იმ სამი დაწესებულების თანამშრომლები გლეხობის პრეტენზიებს გაძვირებულ ტარიფებზე, რომლებიც მათ მუშაობას უშედეგოს და არა მომგებიანს ხდის, მომსახურების სიძვირის გამო...

ვისაც საწვავი შემოაქვს, ამბობს, რომ მსოფლიო ბაზრის ღირებულების სტანდარტს იცავს...

ვისაც სასუქი შემოაქვს, იგივეს ამბობს...

მექანიზატორებიც უჩივიან ფასების ზრდას საწვავზე, სათადარიგო ნაწილებზე და ა.შ...

ჯამში, მათთან საუბარი მთავრდება ასეთი

მნიშვნელობის მქონე წინადადებით :

„– გიჟები ხომ არა ვართ, ტყუილ-უბრალოდ ვიმუშაოთ?“

რა გამოდის? მხოლოდ გლეხი შეგვრჩა ხელში გიჟად შერაცხული...

არ ვიცი რა ხდება ზემოთ, სადაც „ნავთობის“ ხალხია და ცოტათი ქვემოთ, სადაც „მინერალები ილექება“, მაგრამ ახლოსა ვარ მექანიზატორებთან, რომლებსაც ყოველი სათადარიგო ნაწილი 40-50%-ით გაუძვირდათ, ვიდრე 3 წლის წინათ იყო. ეს სიმართლეა და ისიც სიმართლეა , რომ მათი მოთხოვნილი თანხით ინარჩუნებენ იგივე მოგებას, რაც ადრე გააჩნდათ...არაფერი მეტი...

აი, ასეთი სურათი მივიღეთ : ნავთობის, მინერალისა და მექანიზაციის სიძვირე, მთელი სიმძიმით დააწვა გლეხის თოხის ტარს, რომელიც წელში მოიზნიქა და ჭრიალი დაიწყო. ამ ჭრიალს გარდაუვლად მოყვება ამ ტარის გადატეხა, რომლის თავზეც მოყრილი პრობლემების სიმძიმის ქვეშ, მხოლოდ გლეხი გაისრისება და მას მთელი საქართველოც ზედ მიჰყვება.

მთავრობა- მთავრობაა, რომელსაც „თოხის“ გარდა, სხვა ბევრი პრობლემებიცა აქვს: არაკეთილ მოსურნე მეზობლები და არა მეზობელი, რომლებიდანაც ყოველ წუთს რაღაცას ცუდს უნდა ველოდოთ; წართმეული ტერიტორიები; „ფარსადანებით“ სავსე საქართველო; ათობით „საუკუნის პროექტი"... ეს გასაგებია, მაგრამ ვერ გამიგია ერთი რამ, მას-მთავრობასა და გლეხობას შუა მყოფები, თუ მდიდრდებიან ამავე გლეხობის ხარჯზე, რატომ არის ეს გლეხი კაცი უიმედობის ზღვარს მიმდგარი? არა სიღარიბის, არამედ უიმედობის ზღვარს მიმდგარი...

ღარიბი კაცი, უიმედო კაცზე ბევრად მდიდარია; მას იმედი აქვს, რომ ოდესღაც გამდიდრდება, ხოლო უიმედო ადვილად ნებდება და ბრძოლის უნარს კარგავს...

„ჭახვათის“ ტერიტორიაზე არსებული 32 საყანე ფართობიდან, მხოლოდ 10 არის დამუშავებული-30%... ვერ გამიგია მდიდრების პოლიტიკისა, თუ გლეხმა საერთოდ მიანება თავი ყანას, მერე ვისღა უნდა მიჰყიდონ ის საწვავი და სასუქი, რომლითაც დღეს მდიდრდებიან?..

თუ საქართველოს, ჭადის მარაგის 30% პროცენტი შემორჩება გასულ წელთან შედარებით, ეს აუცილებლად გამოიწვევს ქალაქის მოსახლეობის უკმაყოფილებას, რომელიც უცოდველ გლეხს დაადანაშაულებს, როცა უახლოეს პერიოდში- ბაზარში, ჭადსა და ყველს ერთი და იგივე ფასი ექნება...

გლეხობასაც გააჩნია შიგა პრობლემები. ისინიც სამ ნაწილად დაიყვნენ :

I - შრომის მოყვარე გლეხობა...

II - გაზარმაცებული გლეხობა...

III - მიგრირებული გლეხობა...

ფაქტი-ფაქტია. მშრომელი გლეხი, გლეხობის მხოლოდ 50%-ს შეადგენს...„თოხის გადაცემის რიტუალი ნელ-ნელა ფასს კარგავს და ქრება“...გარკვეულ წილად, ამას დროის ცვლილებამაც შეუწყო ხელი, მაგრამ რეალობა ასეთია- მომავალ თაობას არ უყვარს მამიდან შვილზე „მემკვიდრეობით“ გადაცემული თოხი. მათი უმეტესობა დგეს უსაქმურია. მათ ნამდვილად არ გააჩნიათ დროის იმ მონაკვეთის დეფიციტი, რომელიც ყანის დამუშავებასა და პატრონობას ჭირდება. ადრინდელი გლეხის ეზო სავსე იყო შინაური ფრინველებითა და საქონლით; დგეს კი, აგერ-ეგერ თუ დაინახავ ვინმეს ეზოში „დედლების ნაკლებობის გამო დამწუხრებულ მამალს“... გაქრა საჭმელი და მომრავლდა მუქთა მჭამელი... მათ საყვარელ საქმეს მთავრობის ლანძღვა წარმოადგენს, რომელმაც „თოხი არ დაიკავა ხელში და არ იმუშავა მათ მაგიერ...“ ისინი არც იაფობის შემთხვევაში იქნებოდნენ საყანე ფართობების მპატრონებელნი და პროდუქციის მწარმოებელნი...

რა თქმა უნდა, დაუმუშავებელი ყანების რაოდენობის სიმრავლეში, თავისი სიტყვა თქვა მიგრირებული მოსახლეობის სიმრავლემაც...

ყანა, ეს ყველაზე ხელმისაწვდომი და პრიმიტიული საქმიანობაა გლეხისთვის, რომელიც დღეს ხელმიუწვდომელი და ურთულესი პრობლემა გამხდარა მისთვის. ჩვენ იმ გლეხ კაცზე ვლაპარაკობთ, რომლის ეზო სავსეა ციტრუსით, კივით, ათობით სახეობის ხეხილითა და შესაბამისად, სავსეა მისი ეზო პრობლემებით. ხეხილს, რომლითაც ის თავს უნდა ირჩენდეს, ათჯერ მეტი პატრონობა და „ფულიანი კომბინაცია“ ჭირდება, ვიდრე- უბრალოდ ყანას და ამ პრობლემების „მისამართი“ მისთვის უცვლელი რჩება : მთავრობა, საწვავი, სასუქი და მექანიზაცია.

მექანიზაცია...ისიც 3 ტიპის აღმოჩნდა ისედაც პრობლემებიდან დაბნეული გლეხისთვის...

I - მექანიზაცია, რომელიც გლეხის ოცნებაში არსებობს მხოლოდ- იაფიანი და ხელმისაწვდომი...

II - მექანიზაცია, კერძო მესაკუთრეების ხელქვეშ...

III - ამერიკის დახმარების შედეგად-უსაიდ-ს მანქანა-ტრაქტორთა სადგომები, რომლებიც გაანგარიშებულია დაეხმაროს მოსახლეობას ხვნა- თესვაში...

ჩამონათვალიდან პირველი- ოცნებაზე დაფუძნებული, ოცნებაშივე რჩება...ოცნებას ფერი არ გააჩნია და ვერავინ ხედავს, რომც უნდოდეს დაინახოს რაზე ოცნებობს სხვა... ხოლო, თუ არც გსურს დაინახო, მითუმეტეს უხილავია...

რაც შეეხება მეორე ვარიანტს, გვქონდა უკვე საუბარი და ტრაქტორთა კერძო მესაკუთრეებმა, განაცხადეს, რომ „საშინელი სიძვირის გამო საწვავსა და ტრაქტორთა სათადარიგო ნაწილებზე- განსაკუთრებით საბურავებზე, თუ ფასები არ წამოწიეს, მათი მუშაობა უაზრობას უტოლდება“, ხოლო ეს უაზრობა, როგორც თვითონ აღნიშნეს, სახლში მიტანილი, „არც ცოლმა შეჭამა ძმა და არც ბაღანამ...“

მესამე ვარიანტის გარკვევაში, თუ რამდენად მომგებიანია გლეხისთვის ამერიკელთა მიერ „უსაიდი“-ს პროგრამით დაარსებული მანქანა-ტრქტორთა სადგომები, ერთ-ერთი ასეთი სადგომის დირექტორი- გელა გამყრელიძე დამეხმარა.

სურათი აქაც არა სახარბიელო აღმოჩნდა- გლეხის ინტერესთან შეუსაბამო...გლეხისთვის აქაც სიძვირეა, თორემ გელა, თვითონ არის დაინტერესებული, რომ მისმა თანასოფლელმა გლეხმა შეძლოს და ნაკვეთი როგორმე დაამუშაოს. ხელს უწყობს მათ გადავადებით გადახდაში...ისედაც განახევრებული დახნული ფართობების რაოდენობა, ბევრად ნაკლები იქნებოდა, რომ არა მისი ანგარიშგაწევა გლეხობის მიმართ...

რაც შეეხება კონკრეტულ ფასს, როგორც ბატონმა გელამ აღნიშნა, განსხვავება უმნიშვნელოა და ბევრი ჯაფაც უწევს, რომ ეს ტექნიკა როგორმე ამუშაოს, მათი ექსპლუატაციის სიძვირის გამო...

ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ გელას მიერ შეთავაზებული დახმერება ოდნავ ნაკლებ ფასში, ბევრად ხარისხიანია და გლეხისთვის უფრო მისაღები, ვიდრე იმ პირთა, რომლებიც კერძო ტრაქტორებს ფლობენ...

პრობლემები იქნება და ის იმისთვის არის საჭირო, მთავრობამ უკარნახოს გლეხს გზა ამ პრობლემების გადაჭრისკენ. მე პირადად წლების წინ ვხვდებოდი, რომ ეს დრო დადგებოდა და „გლეხი იყვირებდა“. მიფიქრია იმაზეც, იყო, თუ არა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან? გამოსავალი არსებობს და თანაც ჩინებული: როდესაც ყველა მივა იმ დასკვნამდე, რომ ყანა წამგებიანია გლეხისთვის, დავეხმაროთ მათ და იმ ფართობებზე გავაშენებინოთ ისეთი კულტურა (კივი, თხილი), რომელიც მათთვის მომგებიანი იქნებოდა და არა დავაბნიოთ ისედაც დაბნეული გურული გლეხი და შევთავაზოთ „ჩვენებური-გურული ჯიშის საფიქრალის ნაცვლად, „ამერიკული“ საფიქრალი და სადარდებელი...

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ გლეხობამ საყანე ნაკვეთების გაყიდვა დაიწყოს. ეს სამომავლიო ტრაგედია იქნება, გზას გაუკაფავს უმუშევართა რიცხვის ზრდას იმ ადგილებში, სადაც ამაზე ფიქრიც აბსურდული უნდა იყოს...დავეხმაროთ გლეხებს და სხვა- მომგებიანი საქმე დავაწყებინოთ მისსავე ნაკვეთებზე, თუკი სიმინდი წამგებიანია...

და კიდევ ერთი რამ...რაც არ უნდა მომგებიანი საქმე არ უნდა შევთავაზოთ გლეხებს ყანის მაგიერ, ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ მთლიანი ყანა თუ არა, მისი ნაწილი მაინც შეინარჩუნოს. ყანა არა მარტო მისი ცხოვრების, არამედ გურიის სტუმარ-მასპინძლობის ისტორიული ძეგლია. არ არსებობს ქართველი ადამიანი, რომელსაც არ ეგემნოს პურმარილი გლეხის ოჯახში და თუ გაიხსენებს კეძების ჩამონათვალს რაც მაგიდაზე ელაგა, ყველაზე გემრიელი-გემრიელთა შორის დაწყებული ხაჭაპურიდან-დამთავრებული მწვადით, იმით იყო მაგიდაზე, რომ იმ გლეხის ოჯახში იყო სიმინდი. სიმინდის მარცვალით დაზრდილი ფრინველ-ცხოველი, იაფიანიცაა, ეკოლოგიურად სუფთაც და ბევრად გემრიელიც. ასე რომ ამ სიმინდით გლეხი არა მარტო ოჯახსა და სუფრის სილამაზეს ინარჩუნებს, არამედ გურიის ისტორიასაც. „შავი ადესა“ მეგობრებო, იმ შემწვარ გოჭსა და მოხარშულ დედალს შვენია, რომელიც ჩვენებური სიმინდის „კაკალზე“ იზრდება და არა ხინკალსა და შაურმას. სადაც გურული გლეხია, იქ ჭადია; სადაც ჭადია, იქ „ადესაა“. ამ სამიდან ერთის გადაშენებაც კი, სამთავეს გადაშენებას გამოიწვევს...

როდესაც კინოფილმ „შერეკილებს“ ვუყურე, გულში ჩამებეჭდა ფილმის ფინალი, როცა შემთხვევითობის შედეგად, „ზემოთ“ მოხვედრილი ერთაოზი სიმღერას იწყებს და ბანი, რომელსაც ქვემოდან გლეხობა აძლევს- ბანი, რომლითაც ფილმი ლამაზდება და მისით მთავრდება...არ ვიცი, რამდენად შემთხვევით არიან სულ ზემოთ მოხვედრილები, მაგრამ ის სამი ზედა საფეხური, რომელიც მთავრობასა და გლეხობას ერთმანეთს აშორებს, რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს მთავრობის მიერ და უნდა „იფილტრებოდეს“, როგორც საწვავი და სასუქი იფილტრება, თორემ „ჯიბე გაფილტრული“ გლეხობით, სახელმწიფო წინ ვერ წავა... ერთაოზის სიმღერას რაც შეეხება, ნამდვილად ლამაზად მღერის, მაგრამ უფრო ლამაზდება მისი ჟღერადობა, ქვემოდან- გლეხებიდან მიცემული ბანის შემდეგ... თუ გლეხები ბანს არ იძლევა, სახელმწიფოს მიერ ერთ ხმაზე ნამღერი სიმღერა, ნაკლებად სასიამოვნო მოსასმენი იქნება მსმენელთათვის...

არა –ჟურნალისტებზე ძალადობას!!!

25 მაისს, ქ. თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ერთდროულად გაიმართა ჟურნალისტთა სოლიდარობის აქცია „არა-ჟურნალისტებზე ძალადობას!!!“

ქ. ოზურგეთში რეგიონის მედიასაშუალებების ჟურნალისტები საქართველოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეიკრიბნენ და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს საქართველოში ჟურნალისტებზე ზეწოლის და ძალადობის ფაქტების გამო.

ჟურნალისტები საუბრობდნენ იმ მიზეზებზე, რამაც კიდევ უფრო გაართულა მათი პროფესიული მოვალეობის შესრულება. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჟურნალისტებზე განხორციელდა ძალადობის ფაქტები, რომელთაგან დღემდე არცერთი გამოძიებული არ არის.

ჟურნალისტებთან ერთად თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს და მათდამი მხარდაჭერა გამოხატეს „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ თავმჯდომარე მინდია სალუქვაძემ და საქართველოს დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ლევან ხინთიბიძემ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 56-გვერდიან ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში მედიაზე ხელისუფლების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენა კვლავ შეშფოთების საგნად რჩება აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისათვის

შემდეგ გაზეთების „ალიონის,“ „გურია ნიუსის,“„გურის მოამბის,“ ტელეკომპანია „გურიას“ და რადიო „იმედის“ჟურნალისტებმა „ჭადრების ბაღში“ საპროტესტო აქცია გამართეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო თეატრის კოლექტივი გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

გისურვებთ ბედნიერ ბავშვობას, ულრუბლო ცას და ლამაზ მომავალს!

1 ივნისს საბავშვო თეატრი
შემოგთავაზებთ შემდეგ სპექტაკლებს:
12 სთ. მ. ანთაძის „ნაცარქექიას ახალი თავგადასავალი;“
14 სთ. სუპონინის „ბუტია;“ .
16 სთ. მასლოვის „აბეზარა.“
დასწრება უფასოა.

იყიდება
4 თვალი წაბლის ოდა-სახლი. (დასაშლელი, სხვა ადგილზე დასადგმელად).
მის. ქ. ოზურგეთი, სახოკიას ქ. №15
დაგვიკავშირდით: (599) 22 62 90

„ოქტომბრის შემდეგ გურიაში ცხოვრება იქნება ღირსეული“

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთში შეკრებილ მხარდამჭერებს კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, პ/გ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია; ეროვნული ფორუმის გამგეობის წევრი გუბაზ სანიკიძე; რესპუბლიკელთა გამგეობის წევრი, გურიის მხარის კოორდინატორი კოალიციიდან დავით ბერძენიშვილი შეხვდნენ. დიდი ოვაციებით მიიღეს სტუმრები დედაქალაქიდან, თეატრის ხალხმრავალ დარბაზში. ღონისძიება დავით ბერძენიშვილს მიჰყავდა. რომელმაც თავდაპირველად ოზურგეთის შტაბის მუშაობაზე გაამახვილა ყურადღება, შემდეგ კი ნაციონალურ მოძრაობას შეახსენა, თუ ჭკუით არ იქნებიან და დროულად არ დატოვებენ ნაცმოძრაობას, სააკაშვილის წასვლის შემდეგ ისინიც ისევე დაიშლებიან და გაქრებიან პოლიტიკური სივრციდან, როგორც შევარდნაძის მოქკავშირი და ასლან აბაშიძის აღორძინება, თუმცა, ბერძენიშვილის ამ გამოსვლას იქვე მოჰყვა რეპლიკა: „არსად გამქრალან, საკუთარი კეთილდღეობისათვის მშვენივრად მოიკალათეს ნაცმოძრაობაში. ახლა ალბათ არც ოცნებაში გადაბარგებაზე შეეშლებათ ხელი“.

ბერძენიშვილის თქმით, სააკაშვილი არ აღმოჩნდა ხალხის მანდატის ღირსი, რომელიც წამოეგო რუსეთის პროვოკაციას, რის გამოც ორი დიდი რაიონი დაკარგა საქართველომ. კოდორის ხეობა, ახალგორი და საქართველოს ახალი საზღვრები დაუდო.

– „თავდაპირველად სააკაშვილმა მართლაც მიიღო ხალხის მანდატი, მაგრამ ის არ აღმოჩნდა ამ მანდატის ღირსი. წამოეგო რუსეთის პროვოკაციას. მერე რა მოხდა, ორი რაიონი დავკარგეო – თქვა სააკაშვილმა, სამაგიეროდ აჭარა გვქონდა დაკარგული და ის დავიბრუნეთო. ეს, ამ დიდ ტრაგედიასთან ერთად, აჭარელი ხალხის უდიდესი შეურაცხყოფაა. მისთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველო აღარ არის, ჩვენთვის საქართველოა. მან ახალი საზღვრები დაუდო ჩვენს ქვეყანას. სახიფათოა სააკაშვილი, რომელიც მზად არის ხელისუფლების შესანარჩუნებლად ტერიტორიები დაკარგოს. “

შემდეგ გამომსვლელმა გასულ საპრეზიდენტო არჩევნებზე და მიმდინარე შეხვედრებზე ისაუბრა, ახალი გამოწვევაც შეახსენა გურულებს და აღნიშნა, რომ გურია პირველი რეგიონია ქვეყანაში წინა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით. –„სააკაშვილმა თბილისში ხმათა 31% წაიღო, გურიაში 39%. ამჟამადაც ხალხით გადაჭედილ დარბაზებში უწევთ შეხვედრა, ყველგან, რომელთა რაოდენობა თანდათან იზრდება.

შემდეგ სცენაზე ანსამბლ „ქართული ხმების“ ხელმძღვანელი, მომღერალი თემურ ჭკუასელი გამოვიდა. მან გაიხსენა ყინვიანი ზამთრის შეხვედრა ოზურგეთის თეატრში, რომელიც მხოლოდ მადლიანი ხელოვნებისა და ადამიანური ურთიერთობებით იყო გამთბარი. ისაუბრა გურულთა ნიჭიერებასა და სტუმართმოყვარეობაზე. მერე ბახვის მანიფესტი გაიხსენა, რომელთა მოთხოვნაც იდენტური იყო დღევანდელი მოთხოვნებისა: უფასო სწავლება, სიტყვის, პრესის თავისუფლება, გაზრდილი გადასახადების შემცირება...

მელექედურის სკოლის ყოფილმა დირექტორმა, პედაგოგმა ნათელა თოხაძემ მოუწოდა კოლეგებს –„ ნუ მიიღებთ ფარსში მონაწილეობას, ნუ გავხდებით ხელისუფლების მონები!“

ამ ხანში გამომსვლელებს ირაკლი ალასანია შემოუერთდა, რომელმაც ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, იმ საკითხთა მოგვარებაზე, რომელთა განხორციელებასაც ისინი ხალხს ჰპირდებიან ოქტომბრიდან, კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. მანვე მიმართა და თავშეკავებისაკენ მოუწოდა ძალოვანთა იმ ჯგუფებს, რომლებიც მისი თქმით, ღამით მიდიან და ავიწროებენ მათ მომხრეებს.

–„მე აქ თავს ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ჩემი დედულეთი აქ არის. მინდა იცოდეთ, რომ ბიძინა ივანიშვილი უდიდეს ყურადღებას უთმობს როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ასევე გურიის აღორძინებას. ეს ულამაზესი კუთხე, ამჟამად უპატრონოდ მიგდებული, ოქტომბრის შემდეგ დადგება ფეხზე და გურიაში ცხოვრება იქნება ღირსეული.

– ქართული ოცნება ნიშნავს წელში გამართულ გლეხს, რომელსაც მიწა ექნება საკუთრებაში; სოფლის მეურნეობაში ჩადებულ მილიარდიან ინვესტიციას; განათლებისა და ჯანდაცვისათვის გაორმაგებულ ბიუჯეტს;

ყოველი სახელმწიფო იმით ფასობს, თუ როგორ უვლის ვეტერანებსა და პენსიონერებს. საპენსიო რეფორმა იმ გეგმის მიხედვით განხორციელდება, რაც ჩვენმა კოალიციამ შევიმუშავეთ. პენსია განისაზღვრება მინიმუმ საარსებო მინიმუმით (220 ლ.), რასაც დაემატება წელთა ნამსახურეობა. თითოეული ჩვენთაგანი იქნება დაზღვეული ექიმით, წამლით და ამის განხორციელებას ჩვენ გპირდებით.

ალასანიამ ისაუბრა სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციაზე, რომლის შექმნაზე, მისივე თქმით, თავიდანვე ოცნებობდა ბიძინა ივანიშვილი და მის განსახორციელებლად უამრავი სახსარი ჩადო.

–ჩვენთან სამართალს კაცი ვერსად იპოვის. უამრავი სახსარი ჩადო ბიძინამ თავდაცვისა და პოლიციის გაძლიერებაში, რითაც თავს იწონებს სააკაშვილი. ჩვენ პატივს ვცემთ პოლიციას და ჩვენს ჯარისკაცებს, მაგრამ არავის ეგონოს, ბოროტების და ძალადობის სამსახური ისე არ ჩაივლის, პასუხი არ მოეთხოვოთ. საუბარია კუდ-ის ერთ ვიწრო ჯგუფზე, რომლებიც მიპარვით, ღამით ავიწროებენ ჩვენს მოქალაქეებს.

ისტორიულ-ლიტერატურული და დღევანდელობის ერთობლივი მიმოხილვით გამოვიდა გუბაზ სანიკიძე ოზურგეთელთა წინაშე და ქართველი ერის დიდ ისტორიულ მეხსიერებასა და დანიშნულებაზე ისაუბრა, რომელიც მისი თქმით, დღეს დიდ საფრთხის წინაშეა, რადგან სახელმწიფოა მახინჯი და უსამართლო

– დიდ გამოცდას გაუძლო საქართველომ ამ ოცი წლის განმავლობაში. ჯვარცმას ყოველთვის აღდგომა მოსდევს და ჩვენც აღდგომას ველოდებით ჩვენი ქვეყნისა. კარგი სამშობლო გვაქვს, მემკვიდრეობა დიდი, მაგრამ სახელმწიფო გვაქვს მახინჯი. სახელმწიფოსთვის უმთავრესია ღირსება და სამართალი, ჩვენთან კი სამართალმა პური ვერ ჭამა. საქართველოს დღეს მართავს ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც არა შეცდომისა და უმეცრების გამო არბევს სახელმწიფოს, არამედ მიზანმიმართულად, შინაარსობრივად ანგრევს ეროვნულ სახელმწიფოს. მამული, ენა, სარწმუნოება – ჩვენ ენერგიას ვიღებთ ამ მიწისგან. ენა ჩვენი ცივილიზაცია და კულტურაა. ამ დროს კი – გაიწიე ქართულო ენავ და გზა დაუთმე ინგლისურსა და ჩინურს. რწმენა ჩვენი გადარჩენაა.

. ჩვენ მივვაჩვიეს სიცრუესთან და ბოროტებასთან თანაცხოვრებას.

ერთად დგომისკენ მოუწოდა „ქართული ოცნების“ ოზურგეთის შსტაბის თავმჯდომარე კოტე შარაშენიძემ მხარდამჭერებს და შეხვედრაზე მოსვლისათვის მადლობა გადაუხადა. ისაუბრა თეატრალურ მოედანზე, რომლის სახეცვლილებასაც, ისევე როგორც ყველა სხვა საკითხის გადაწყვეტას გურიაში, მისი თქმით, ერთი კაცი განაგებს მხოლოდ და იგი რამაზ ნიკოლაიშვილია.

მიშასთან შეხვედრაზე ხალხი ძალად იყო მიყვანილი, დღეს კი თქვენი აქ მოსვლით დაადასტურეთ თქვენი მხარდაჭერა–თქვა მან.

სავაჭრო ცენტრები ოზურგეთში XIX საუკუნეში

სოლომონ ჭეიშვილი

იაკობ შევარდნაძე

ბაზრობაზე დიდძალი ხალხი იკრიბებოდა. გურულ გლეხს გასაყიდად გამოჰქონდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები,ხელოსნური შინამრეწველური ნაწარმი.

1839 წელს რუსეთის ხელისუფლებამ დვაბზუს ბაზრობა გააუქმა და ოზურგეთში გადმოიტანა. (ე. გოგუაძე „სოფ. დვაბზუს ისტორია“).

ადგილობრივ ბაზრობებზე გაწაფული ვაჭრები თურქეთის, რუსეთის და ევროპის ქალაქებში გადიოდნენ სავაჭროდ. ოზურგეთში XIX ს. რამდენიმე ოზურგეთელი მრეწველი და ვაჭარია ცნობილია.

ერთი მათგანი გახლავთ სოლომონ ჭეიშვილი (1851-1925), სოფ.ასკანის მკვიდრი. მან მეღვინეობა საფრანგეთში შეისწავლა.ქ. ბორდოში და შამპანში ეუფლებოდა ღვინის ჩამოსხმის ევროპულ კულტურას. მან ბორდოში შეიძინა მუხის კასრების მასალა.ყურძნის საწნეხი აპარატი, ათასობით ბოთლი, დაამზადებინა ეტიკეტები და ყველაფერი ასკანას, თავის სახლში ჩამოიტანა. გამართა ღვინის ჩამოსხმისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობა და ხელი მიჰყო ღვინის წარმოებას. ევროპული და ქართული წესების შერწყმით ჩამოსხმული ღვინო სოლომონს „ძმები ჭეიშვილების" ფირმის სახელით გაჰქონდა ტრაპიზონში, ვლადიკავკაზში, ოდესაში და თვით საფრანგეთშიც კი. სავაჭრო სახლები ჰქონდა თბილისში, ოდესაში, მოსკოვში, ვლადიკავკაზში. სოლომონის მიერ ჩამოსხმული ღვინის ხარისხი რუსეთსა და საფრანგეთში, სხვასხვა დროს, სხვადასხვა ჯილდოებით აღინიშნა. მათ შორის გამოირჩევა პეტერბუგში გამოფენაზე მიღებული ვერცხლის დიდი მედალი. სოლომონ ჭეიშვილის სახელის საპატივცემულოდ ასკანა-ბახვის არეალში მაღალი ჯიშის ერთ-ერთი ვაზი „ჭეიშვილის ვაზის" სახელით მოიხსენიება. სოლომონი დიდ საქველმოქმედო საქმეს ეწეოდა, მის სახელს მიეწერება ასკანაში შემნახველ-გამსესხებელი „ამხანაგობის" შექმნა. ბიბლოთეკისა და თეატრალური დასის დაარსება, გზების მოპირკეთება, გურიის სავაჭრო ფირმა "შამკალის" ერთ-ერთი დამაარსებელი. სოლომონ ჭეიშვილის სახელით მიიღო განათლება საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებელში მისმა უახლოესმა ნათესავებმა და თემის რამდენიმე ახალგაზრდამ. (ე. გოგუაძე,„ასკანის ქვეყანა“).

სოლომონ ჭეიშვილი დაკრძალულია თბილისში, ვერის ძველ სასაფლაოზე.

ასეთივე ცნობილი მრეწველი იყო - ი.შევარდნაძე (1854-1931), მან წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა, დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი,შემდეგ ოდესის კომერციული ინსტიტუტი. მუშაობას იწყებს პეტერბურგში. თანამდებობა-რუსეთის დიპლომატიური მისიის ფოსტა-ტელეგრაფის სააგენტოს უფროსი. 1880წელს ინიშნება რუსეთის წარმომადგენლობის უფროსად პოლონეთში, შემდეგ ირანში, შემდეგ ინგლისში. დაჯილდოვებული იყო ალექსანდრე III ბრძანებით ანდრია პირველწოდებულის მედლით, ნიკოლოზ II ბრძანებითი წმ. გიორგის ოქროს ჯვრით. 1918 წლიდან დამკვიდრდა ასკანაში. სოფელში ჩამოსვლისთანავე დაარსა ფოსტა-ტელეგრაფი, მორზეს ანბანი, გამართა გურიაში პირველი სატელეფონო სადგური ასკანის თემში.მის სახელს უკავშირდება ჩაის კულტურის განვითარება. იყო ცნობილი ქველოქმედი, აფინანსებდა აკადემიკოსი ვლ. ჟღენტის და მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის სწავლას. 1931 წელს ჩავარდა მატარებლის ბორბლების ქვეშ.

ცნობილი პიროვნება და საქმოსანი იყო ვანისქედის მკვიდრი გიგო ასათიანი, ოზურგეთის სავაჭრო სახლის „შუამავლის" წარმომადგენელი რუსეთის ქალაქების ვაჭრებთან, თურქეთის ქალაქების სავაჭრო სახლებთან. არაერთი ადამიანი იყო მისგან დავალებული სიცოცხლითა და სამსახურით დედაქალაქშიც.

მარიკა ღლონტი,
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის

*** დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „ალიონი“№17**

სიმღერა

ეძღვნება ლევან აბაშიძის ხსოვნას

მონსტრები ალაგებენ პაიკებს,
ბიჭები მიდიან ომში,
ეშმაკი მაკრატლით გვაჭრის
უძველეს ლამაზ ფესვებს.
მონსტრები ალაგებენ პაიკებს,
მოკლავენ ლევანს, სულხანს და ვაკოს
ამირანს კორტნიან თვალებს
ლამაზი შვილების გამო.
მონსტრები ალაგებენ პაიკებს,
გვიკლავენ გულად კაცებს,
თელავენ სულის ბაღებს
და გვიგინებენ ხატებს.
მონსტრები ალაგებენ პაიკებს,
იფხიზლე ქართველო გენო!
იფხიზლე ქართლის დედავ!
იფხიზლე საქართველო!
მონსტრები ალაგებენ პაიკებს,
სისხლი წყურიათ მონსტრებს,
ლამაზი ბიჭების სისხლი
ლექსებს რომ კითხულობენ.

ნამდვილი კაცების სიმღერა

რა გამაჩერებს, როცა ვიცი
მიგინებ ხატებს,
რა გამაჩერებს, როცა ვიცი
ნამუს ახდიან ქალს,
რა გამაჩერებს, როცა ვიცი
სადღაც მოკლავენ ბავშვს.
რა გამაჩერებს, როცა ვიცი
შიმშილობს დედა
რა გამაჩერებს, როცა ვიცი
ეშმაკი ანგელოზს კლავს,
რა გამაჩრებს, როცა ვიცი
მოვკვდები ხვალ.

რუსუდან მეგრელიშვილი.

ნატანების მექანიზაციის ცენტრი გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს !

ჩვენი მექანიზაციის ნაწილი
მუდამ თქვენს სამსახურში!
დაბალი ფასები, მომსახურების
მაღალი ხარისხი!

მობ: (+995 568) 724 742

რ

თემურ მამულაიშვილი

სოფელ ბაილეთს გამოაკლდა მასზე უზომოდ შეყვარებული, მისი საყვარელი შვილი თემურ მამულაიშვილი. იგი მართლაც გამორჩეული კაცი იყო, გამორჩეული არამარტო გარეგნული შესახედაობით, არამედ მისი სულიერი სამყაროთი—სითბოთი, სიკეთის თესვით, თუნდაც ჯანსაღი იუმორით, რითაც ყველას ხიბლავდა. ამ დღეებში მისთვის 63 წლის შესრულება უნდა მიგველოცა დამ ას მოუთმენლად ველოდით, მაგრამ ეს არ დასცალდა, უკურნებელი სენი შეეყარა და სამუდამოდ დაგვტოვა.

ბოლო წლებში ბატონი თემური, სოფლის ტერიტორიულ ორგანოში მუშაობდა სპეციალისტად. თავის მოვალეობას მთელი მონდომებით, კეთილსინდისიერად ასრულებდა. მისი სიტყვა იყო დამაჯერებელი, იმედის მომცემი. კაცობასთან ერად მან დაგვიტოვა ლამაზი ოჯახიც. მრავალტანჯული დედა— ქალბატონი ნელი, განუმეორებელი მეუღლე— ქალბატონი ნინო, შვილები, შვილიშვილები.

ჩემო თემურ! ბიძაშვილობასთან ერთად ჩვენ ხომ განუყრელი მეგობრებიც ვიყავით. ვერ ვიხსენებ თუნდაც ერთ ფაქტსაც, ჩვენ ერთმანეთისათვის არ მოგვესმინოს და არ გაგვეკეთებინოს ის, რისი გაკეთებაც შეგვეძლო.

თემურ მამულაიშვილის სახით ჩვენს სოფელს გამოაკლდა მისი სიკეთისათვის თავდადებული მებრძოლი, ნამდვილი ქართველი პატრიოტი. მისი სახელი მუდამ დარჩება ბაილეთელთა მეხსიერებაში.

სპარტაკ მამულაიშვილი,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
რწმუნებული ბაილეთში.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია უსაზღვრო გულისტკივით თანაუგრძნობს პედაგოგ მაია გოგუაძეს და მის ოჯახს უსაშველო და გაუნელებელი ტკივილის—უსაყვარლესი შვილის **ბექა ჩხარტიშვილის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru